რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., :ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели"

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

---

**მათე იოსების ძე კერესელიძე**

წვეთისაგან გარდაიცვალა 9 ამ ნოემბერს, დილის 7 საათზედ. განსვენებულის მეუღლე **მარიამ ნიკოლოზის ასული კერესელიძისა** და ძმა მისი **ევგენი იოსების ძე კერესელიძე** აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა, რომ ცხედარს გამოასვენებენ ქვაშვეთის ეკკლესიაში 13 ნოემბერს, დილის 10 საათზ. დ. პანაშვიდი იქნება ყოველ-დღე საღამოს 7 საათზედ.

---

ქართული თეატრი

**ოთხშაბათს, 13 ნოემბერს 1896 წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ქალბ. საფაროვ-აბაშიძისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნება:

I

## ბედნიერი დღე

კომ. 4 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

II

## მშვენიერ ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქ. გადმოკ. ცაგარლისაგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეთლისა, ივანიძისა; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხვა.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი: ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროცასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ზუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაშეტიანცი**. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროცასევიჩი**. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ზუგინოვი**. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვ ე ნ ე რ ი უ ლ ი, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკ ნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

---

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

10 ნოემბერი.

**პსკოვი.** ბოგდანოვის ქალის მკვლელობის საქმე ორი დღის შემდეგ დასრულდა სასამართლოში შემდეგის განჩინებით: სტრელკოვი დამნაშავედ იცნეს წინად განზრახულ მკვლელობაში, სახლის ყარაული დამნაშავედ იცნეს, რომ დაფარა იგი მკვლელობა, ხოლო მესამე, სემიონოვი გაამართლეს.

**ვენა**. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მობრძანდა აქ 9 ნოემბერს, სადგურზე მიეგებნენ გრაფი კაპნისტი და თავადი ლეიხტენ-შტეინი. 11 საათზე იმპერატორმა მიიღო დიდი მთავარი და ნახევარ საათის შემდეგ იმპერატორმა მისცა სამაგიერო ვიზიტი რუსეთის საელჩოში, დღეს სასახლეში გამართულ იქნება ნადიმი დიდი მთავრისათვის, ხოლო ხვალ სერბიის კოროლისათვის.

**ვენა.** საბიუჯეტო კომისიაში გზათა მინისტრმა დიდ სიტყვაში გამოსთქვა, რომ რუსეთის მთავრობასთან უკვე გამართულია მოლაპარაკება ბარგ-საქონლის გადატანის შეღავათზე რკინის გზებით და იმედია, რომ ეგ მოლაპარაკება სასურველად დამთავრდება ამ მოკლე ხანშიო.

**სტამბოლი.** სომეხ-კათოლიკე ფერიდ-ეფენდი დაინიშნა ფაჯინის კაიმაკანად, სომეხი ნაზარეტ-ეფენდი კაფირის კაიმაკანად.

**ფილიპოპოლი.** სტამბოლიდგან იუწყებიან, რომ პეტერბურგში ყოფილი სამხედრო ატაშე აზიზ-ბეი, ძე გვარდიის კორპუსის უფროსისა რეუფ-ფაშისა, და ლეიტენანტი ასიმ-ბეი, ძე ალეპოში გაგზავნილ მეჯინიბეთ-უხუცესის იზეტ-ფაშისა, გაქცეულან ევროპაში. 15 მოწაფე საზღვაო აკადემიისა შეპყრობილ იქმნენ აღკრძალულ ბროშურებისა და წიგნების ქონებისათვის.

**ბომბეი.** მთელს დეკანში დიდი წვიმები მოდის, რის გამო ფასი პურეულობაზე სწრაფად კლებულობს.

### გუშინდელი დეპეშა

**პარიჟი.** პალატა შეუდგა გარეშე საქმეთა ბიუჯეტის განხილვას. მილიერონი (სოციალისტია) დაეკითხა ჰანოტოს, არსებობს თუ არა, რუსეთსა და საფრანგეთს შორის რაიმე ხელშეკრულობა. მილიერანს უნდა შეიტყოს ამ ხელშეკრულების პირობები. პარლამენტს უფლება აქვს შეიტყოს, რა მოვალეობა იკისრა საფრანგეთმა რუსეთის წინაშე, ან რა სარგებლობას მოელის. ჰანოტომ უპასუხა: «ეს რამდენიმე წელიწადია, რაც სხვა-და-სხვა მინისტრნი ჩიემხრენ იმ პოლიტიკას რუსეთის შესახებ, რომელიც არა თუ კეთილ გონიერ სახელმწიფო მოღვაწეთ მოსწონს, არამედ მთელს საფრანგეთის ერს. ამას წინად რუსეთის მეფე-დედოფალნი, ევროპაში მოგზაურობის დროს, მობრძანდნენ საფრანგეთში და სალამი მისცეს მეგობარ სახელმწიფოს მთავრობას. საფრანგეთი იმ გვარად მიეგება უავგუსტოეს სტუმრებს, რომ ქვეყანამ იგრძნო, ვითარ მთელი საფრანგეთი, პრეზიდენტიდგან მოყოლებული უკანასკნელ მოქალაქემდე, აღტაცებული იყო სიხარულით და ნდობით რუსეთისადმი. დღეს აქ პასუხსა გვთხოვენ და გვკითხავენ, რა პოლიტიკას მისდევთო, მე მხოლოდ ერთს ვიტყვი ამის პასუხად: რის გამოთქმაც კი საჭირო და შესაძლებელ იყო, აშკარად და საჯაროდ უკვე გამოითქვა ნათლად რუსეთის იმპერატორისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ: შერბურგში—წინაშე ჯარისა და ფლოტის აფიცერთა, მერე პარიჟში—წინაშე მთავრობისა და ერის წარმომადგენელთა, და ბოლოს ბალონში—წინაშე ჯარის უფროსთა და აფიცერთა. ჩემი მოვალეობა და ის გარემოებანი, რომელნიც ადვილ გასაგებნი უნდა იყვნენ პალატისათვის, მაიძულებენ აღარაფერი ვსთქვა იმ ხელშეკრულობაზე, რომელიც ეხლა ექვს გარეშეა და რომელსაც ვერავინ ვერ უარ ჰყოფს (ტაშის ცემა).

---

## ახალი ამბავი

† მათე იოსების ძე კერესელიძე.

ჩვენის გაზეთის 22 №-ში გამოცხადებულ იყო სამწუხარო ამბავი, რომ პატიოსანი მოღვაწე მათე კერესელიძე უეცრად გარდაიცვალა წვეთისაგანაო. უეჭველია, ბევრს არცკი ეცოდინება,—ვინ იყო განსვენებული და რას წარმოადგენდა მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამის მიზეზად თვით მოღვაწეობის ასპარეზი და მოღვაწის პირადი ხასიათი უნდა ჩაითვალოს. მათე კერესელიძე მისდევდა იმგვარ საქვეყნო საქმეს, რომელიც სახლის ჭერ ქვეშ მყუდროდ სწარმოებს, საჯაროდ თავი არ მოაქვს, ბუკსა და ნაღარას არ უკრავს. თვითონ განსვენებული მოღვაწეც იმდენად თავ-დაბალი იყო, რომ სრულიად არ სცდილობდა სახელის მოპოვებისათვის. კეთილი საქმე კი გაეკეთებინა და სახელი ვისაც უნდა დარჩენოდა, ეს სულ ერთი იყო იმისათვის.

მათე იოსების ძე კერესელიძე, რომელიც ორმოცდა-ცამეტის წლისა გარდაიცვალა, პირველად ტფილისის სემინარიაში სწავლობდა, მაგრამ იქ სწავლა ვერ დაამთავრა. იმ დროს სემინარიის მოწაფეებმა არეულობა მოახდინეს, სასწავლებლის მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიეს და რა

დგანაც მათესაც „ბუნტში" მცირედი წილი არ ედო, ამისათვის სემინარიიდგან გამორიცხეს. მაგრამ ახალგაზდა მოჯანყეს მალე გულ-შემატკივარი, შემწე და მფარველი აღმოუჩნდა. გაბრიელ ეპისკოპოსმა დიდი ყურადღება მიაქცია იმის მდგომარეობას, იმისი ავი და კარგი გაიგო და ბოლოს თავისის ხარჯით ღარიბი და უპატრონოდ დარჩენილი მოწაფე ოდესის სემინარიაში გაგზავნა. როცა განსვენებულმა სემინარიაში სწავლა გაათავა, კიევის სასულიერო აკადემიაში შევიდა და იქ მიიღო უმაღლესი განათლება.

თუმცა განსვენებულმა სასულიერო სწავლა-განათლება მიიღო, მაგრამ სასულიერო და საეკკლესიო სამსახურს საერო ამჯობინა და მოხელედ საფინანსო უწყებაში გამწესდა, სახელდობრ, ეგრედ წოდებულ, კანტროლის ნაწილში. პირველად სამსახური ქ. ვარშავაში დაიწყო და იქ კარგა ხანს დაჰყო. ვარშავაში ყოფნას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მათე კერესელიძე ცნობის მოყვარე და სწავლის მოტრფიალე იყო და ამიტომ გულ-დადებით შეუდგა პოლონურ ენისა და ლიტერატურის შესწავლას და კიდეც საკმაოდ შეისწავლა. ამ შესწავლას დიდი გავლენა ჰქონდა განსვენებულის ხასიათსა და მიმართულებაზედ... იმას ხშირად უყვარდა პოლონიის თავ-გადასავალზედ ბაასი და ამ ქვეყნის გმირების მოგონება. შემდეგ თურქესტანში გადაიყვანეს და ბოლოს, 1875 წ., თავისს სამშობლო ქვეყანაში ეღირსა სამსახური—ქ. გორის ხაზინის მოხელედ გაამწესეს.

მათე კერესელიძის საყურადღებო მოღვაწეობა ეკუთვნის იმ დროს, როცა იგი გორში სცხოვრებდა. სანეტარო იყო იგი დრო გორისათვის. პოეტის თქმისა არ იყვეს, იმ დროს გორი მთელ ქართლში მეთაურობდა. მთელს მხარეს გზასა და კვალს უჩვენებდა. იმ დროინდელ გორის ინტელიგენცია საქებრად და სამაგალითოდ ითვლებოდა. არც ერთი საზოგადო საქმე ისე არ დაიწყებოდა, რომ იმ საქმეში გორის განათლებულ ახალგაზდობას მონაწილეობა არ მიეღო. ხოლო იმ ადგილს, სადაც იგი ინტელიგენცია ბჭობდა, ფიქრობდა და ილვწოდა, განსვენებულის მათე კერესელიძის სახლი და ოჯახი შეადგენდა. ეს სახლი და ოჯახი ნამდვილი სალონი, თუ გნებავთ, ნამდვილი საერთო დარბაზი იყო, სადაც ყველას შეეძლო ფიქრი და ზრუნვა საზოგადო საქმისათვის. ამ სალონსა თუ დარბაზში მარტო პრქტიკულ მოღვაწეობის ღაღადი არ გაისმოდა,—ხშირად იქ იმართებოდა სალიტერატურო კრება და საუბარი... გონების ვარჯიშა, აზრის კამათს თან მოსდევდა ქველმოქმედება, კეთილის ქმნა და ამ გვარად მათე კვრესელიძის სახლი მთელ პროვინციის ინტელიგენციისათვის აზროვნებისა და პრაქტიკულ მოღვაწეობის სადგურს წარმოადგენდა. თვითეული სალიტერატურო საკითხავი, რომელიც კი საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა, ასე თუ ისე ამ სახლში უნდა გარდაწყვეტილიყო, ქველ-მოქმედობა აქ უნდა დაწყებულიყო და განხორციელებულიყო. არა ერთსა და ორსა აეხსნა ამ სახლში გონების თვალი, არა ერთმა და ორმა ღარიბმა და გაჭირვებულმა ჰპოვა აქ მადლი მოყვასის სიყვარულისა..

განსვენებული მათე კერესელიძე ნამდვილი წარმომადგენელი იყო იმ მოძღვრებისა და მცნებისა, რომელიც ბრწყინავდა მესამოცე წლებში. ბევრმა ქართველმა უკუ აგდო იგი მცნება და მოძღვრება, მაგრამ განსვენებული ბოლომდე ერთგული იყო ბრწყინვალე გარდმოცემისა. იგი შეუდრეკელ და კეთილშობილ იდეალისტად დარჩა, ცხოვრების ყოველ გვარი მაცდურება და მანქანება უარჰყო და წმინდა ზნეობის გზას დაადგა, რომელიც ჩვენს დროს პირადს და კერძო ნივთიერს სიკეთეს არ უქადის მსვლელსა და ასეთს სიკეთეს განსვენებულიც მოკლებულ იყო.

1890 წ. მათე კერესელიძე ტფილისს გადმოიყვანეს სამსახურში. აქაც განსვენებულის სახლის კარი ღია იყო ინტელიგენციისათვის, აქაც მადლი და ქველობა არ მოსპობილა იმის ოჯახში. ხსენებულ და კურთხეულ იყოს შენი სახელი, მადლიანო და კეთილო ქართველო!

⁂ ჩვენს გაზეთში მოხსენებულ იყო, რომ კომისია ურჩევს ქალაქს, ჩამოართვას განათების საქმე იჯარადარს და თვითონ იკისროსო, ოღონდ კი მოუმატოს ხარჯი ორიათას ორას თუმანს კიდევ 7500 მანათიო. გამგეობამ განიხილა ეს საჩიელი და დაადგინა შემდეგი აზრი: კომისიის აზრით, ქალაქის ფარნები არ უნდა აღემატებოდეს 2500 ცალს, მაშინ, როდესაც ეხლანდელი ფარნები ისეთის სისტემისაა, რომ გინდაც ერთი-ორად მომეტებული ხარჯი გაიღოს ქალაქმა, მაინც არ გაუმჯობესდება განათების საქმე, რადგან ეს ფარნები ერთი-მეორეზედ 50 საჟენის სიშორითა დგანანო. ამიტომ, თუ მაინცა და მაინც ქალაქი იკისრებს განათებას და დარწმუნებულიც იქმნება, რომ ქუჩებს უკეთესად გაანათებს, ამისთვის საჭიროა, ჰფიქრობს გამგეობა, დაიდგას კიდევ 2500 ფარანიო, ე. ი. ქალაქს ჰქონდეს სულ 5000 ფარანი. ამ შემთხვევაში, გამგეობის ანგარიშით, ქალაქს დასჭირდება წელიწადში 62,500 მანათამდე. უკეთუ ამ ხარჯს გაიღებს საბჭო, მაშინ სამჯერ მომეტებული დასჭირდება ფული განათებაზედ, ვიდრე ჰხარჯავს დღეს. გარდა მაგისა, ასეთი მომატება ხარჯისა მაშინ, როდესაც დღე-დღეზე უნდა გადასწყდეს საქმე ელექტრონით განათების შემოღებისა, გამგეობის აზრით, წარმოუდგენელია.

⁂ ქალაქის გამგეობა ჰხარჯავს თავისს მოხსენებათა ბეჭვდაზედ, აგრეთვე საბჭოს პროტოკოლებისა და მრავალ გვარ ანგარიშებისაზედ წელიწადში ორას თუმნამდე. ესევე ფული იყო დანიშნული ამ წლისათვისაც, მაგრამ ორასი თუმანი საკმარისი არ იყო წლევანდელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რადგან წელს გამგეობამ დაჰბეჭდა, სხვათა შორის, ვრცელი პროექტი ინჟენერ ლინდლეისა კანალიზაციის შესახებ. ამის გამო ეხლა გამგეობა სთხოვს საბჭოს, რომ 600 მანათი კიდევ მიემატოს ამ საქმის საჭიროებათა გასასტუმრებლად.

⁂ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ქაქალაქის გამგეობის ყურადღება შემდეგ გარემოებას. საქმე ის არის, რომ ქალაქის მოვაჭრენი დიდი ხანია ხმარობენ არა მართებულ ზომებს. საწყაოს და წონას და მით ზარალს აძლევვენ გულ-უბრყვილო ხალხს. რამდენჯერ იყო ეგ შენიშნული, რამდენჯერ დაისაჯა ზოგიერთი წრეს გადასული მოვაჭრე, მაგრამ მათ თავ-გასულობას არა ეშველა-რა. ას სავაჭროში და დუქანში უთუოდ ოთხმოცდა-ხუთმეტი ხმარობს ნაკლებ წონას და საწყაოს. მართალია, რევიზია არის დანიშნული ქალაქის გამგეობისაგან, მაგრამ ჯერ ერთი რომ ხსენებული კომისია მეტად იშვიათად ახდენს ხოლმე საჭირო რევიზიას და ისიც ათასში თუ ერთხელ მოახდინა, მეტად უხეიროდ და ურიგოდ, სანამ სარევიზიო კომისია დაიწყებდეს თავის მოვალეობის ასრულებას, ვაჭრებმა და მედუქნეებმა ორის დღის წინეთ უკვე იცინიან ეს ამბავი და დროისით მიმალვენ ხოლმე თავიანთ ნაკლებ წონა-საწყაოს. საჭიროა, რომ რევიზია სწრაფად და უეცრად თავს ესხმებოდეს სხვა-და-სხვა ადგილებს, თორემ მედუქნეები ერთმანეთს ატყობინებენ და როცა რევიზია შემოდის წონასა და საწყაოს შესამოწმებლად, იმათ უკვე დახლში სწორი სასწორი და საწყაო უწყვიათ. ამიტომ სასურველია, რომ ქალაქის გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ საგანს და რევიზია რევიზიას ჰგავდეს და არა კეკემალულობას.

⁂ როსტოვიდგან დეპეშით სწერენ თურმე პეტერბურგს, კავკასიში კიდევ ერთი ბელგიელთა საზოგადოება არსდება, რომელიც შეუდგება კავკასიის მადნეულობის წარმოებას. საზოგადოებას თანხა აქვს 1,200,000 მანათი.

⁂ ბათუმიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ დამწვარა დურმიშხან ქურულის სახლი. სახლი დაზღვეული ყოფილა.

⁂ გუშინწინ, ნაშუადღევის 2 საათზედ, სასახლის ქუჩაზედ ეტლმა გაიტანა 10 წლის ქალი, სახელად ნატალია. ბავშვს მიეშველა ქუჩაზედ მიმავალი თავ. ჭავჭავაძე და ნერსესოვის მაღაზიაში შეიყვანა. ქალი ძლიერ შეშინებულიყო, მეეტლე გაქცევას აპირებდა, მაგრამ პოლიციამ შეიპყრო.

⁂ ზეკარის მთა ძლიერ ჩამოთოვა. გზები სულ ერთიანად შეიკრა.

⁂ რუსეთის გაზეთები სწერენ, რომ სპარსეთის შაჰი მომავალ წელს ზოგიერთ სახელმწიფოს დაივლისო. ამ ჟამად თეირანში უკვე ამზადებენ სხვა-და-სხვა საჩუქრებს, რომლებსაც შაჰი თან წაიღებს

⁂ რა დიდი განსხვავებაა შავის ზღვის ნაპირებზედ მდებარე ადგილებსა და კავკასიის შუაგულ ქალაქებ შორის სითბოს მხრივ, შემდეგის ცნობებიდგანა სჩანს.

8 ნოემბერს, დილის 7 საათზედ, ბათუმში იყო 13 გრადუსი სითბო, ფოთში 10 გრ., სოხუმში—12, სოჭის—5, ნოვოროსისკში 11, იმავე დროს კავკასიის სხვა ადგილებში სიცივე იყო: ტფილისში 6 გრადუსი სიცივე, ერევანში—5, განჯაში—4, კავკავში—5 და მხოლოდ ბაქოში ყოფილა 8 გრადუსი სითბო.

⁂ ტფილისის სამხედრო გოსპიტალის ჯარა-ექიმი ბ. პრაკსინი, როგორც ხმა ისმის, ქალაქს თავს ანებებს, რადგან ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორად დაუნიშნავთ. ბ. პრაკსინი განსვენებულის კარპეჩენკოს მოადგილედ იყო დანიშნული და თუმცა იგი ტფილისში მხოლოდ ერთი წელიწადი იმყოფება, მაინც ასე მოკლე ხანში უკეთესი ჯარა-ექიმის სახელი დაიმსახურა და მისი წასვლა ტფილისიდგან ქალაქელებისათვის დიდი დანაკლისი იქნება.

⁂ ჯერ გათენებული არ იყო, რომ ზარის რეკამ გამოაღვიძა მთელი ახალ-სენაკის მცხოვრებნი, თურმე ორს ხის შენობას—სასულიერო სასწავლებლისა და კლუბისას, ცეცხლი წაჰკიდებოდა. ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ კაცს ეგონებოდა, მთელი სენაკი იწვისო. ალი ათ ვერსის მანძილზედ სჩანდა. ცეცხლის გაძლიერებას ხელს უწყობდა: ხის შენობები და ქარი. კიდევ კარგი, რომ რკინის გზის სადგურის ცეცხლის მქრობელი რაზმი დაგვეხმარა, თორემ ნახევარი დაბა ერთიანად დაიწვებოდა. სასულიერო სასწავლებლისა და კლუბის შენობები სულ ერთიანად გადიბუგა. სრულებით ვერაფერი გადაარჩინეს. დაიწვა სასწავლებლის ბიბლიოთეკა და

ყველა საბუთები. ამბობენ, ზარალი 20 ათას მანათამდეაო. ფიქრობენ, რომ ვიღაცამ განზრახ წაუკიდა ცეცხლი. ახალ-სენაკის მცხოვრებნი ძლიერ დაღონებულნი არიან და შიშობენ, ამ შემთხვევის გამო სასულიერო სასწავლებელი არ გადაიტანონ აქედგანაო, მით უმეტეს, რომ ფოთელები დიდი ხანია მეცადინეობენ, სასულიერო სასწავლებელი ფოთში გადაიტანონ.

სიმინდის ფასი ძლიერ დაეცა. ფუთი 30 კაპ. იყიდება. („ნოვ. ობ.“)

⁂ გუშინ-წინ ჩვენს გაზეთში მოხსენებულ იყო, რომ შაბათს, 9 ნოემბერს, კუკიის ხიდზედ ერთის მაღაზიის წინ გარდაიცვალა ვანქის ტაძრის მღვდელი გევორქ გალუსტიანი. განსვენებული სულ 47 წლისა იყო. სხვათა შორის იგი დიდხანს მსახურებდა ტფილისის სომეხთა კონსისტორიაში ხაზინადრად. განსვენებულმა კარგახანია, რაც თავისი ორსართულიანი სახლი, ღირებული 10,000 მანათად შესწირა ვანქის ტაძარს იმ პირობით, რომ სახლი ჩემსა და ჩემის მეუღლის სიკვდილის შემდეგ ამ ტაძრის სრული საკუთრება გახდესო. მამა გევორქ გალუსტიანი თითქოს წინადვე ჰგრძნობდა თავის სიკვდილს, ამ სამის კვირის წინად ხოჯივანქის სასაფლაოზედ იყო და თავის საფლავისათვის ადგილი აირჩია თურმე. განსვენებული მოძღვარი მთელს მისს მრევლს ძლიერ უყვარდა და ყველა დიდს პატივსა სცემდა.

⁂ 9 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში დაიჭირეს ორი კაცი, რომლებიც გალერეის ბილეთებს თითო მანათად ჰყიდდნენ და 30 ბილეთი უპოვნეს. ეს ბილეთები თეატრის დირექტორმა ოპოჩინინმა დაბეჭდა და ბილეთების გამყიდველებთან ერთად გაჰგზავნა პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულთან. აქ აღმოჩნდა, რომ ბილეთების გამყიდველნი ყოფილან ერთი სიღნაღის მაზრის მცხოვრები იაგორ ყულიევი და მეორე ტფილისის მცხოვრები გიორგი საათოვი. პოლიცმეისტერმა ამ შემთხვევის გამო მისწერა ბოქაულებს, სასტიკად თვალ-ყური ადევნეთ, რომ თეატრის ბილეთებით არავინ ივაჭროსო.

⁂ სოხუმი. ეს ერთი კვირაა, საშინელი სიცივეები დაიჭირა სოხუმში. გარშემო გორები გუმისი, აკაფასი და სხვები ამ ორის დღის წინად თოვლით დაიფარა. ღამ-ღამეობით რთვილსაცა სდებს.

⁂ სოხუმი. 3 ამ თვისათვის დანიშნული ქართული წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ“ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო გადადებულ იქმნა 14 ამ თვისათვის. აქაური საზოგადოება მოუთმენლად მოელის ამ წარმოდგენის გამართვას.

⁂ 14 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. საგანი კრებისა:

ა) მორიგი საქმეები: განხილვა 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, გაზეთის გამოცემისა, მოხსენება კომისიისა რძისა, ერბოსი, ყველისა და სხვა ამგვარ საგნების გამოფენის შესახებ.

ბ) მოხსენება ა. ს. ფირალოვისა: ღონის-ძიებანი ამიერ-კავკასიაში შინაურ ქსოვის გაუმჯობესობისათვის.

კრებას უცხო პირთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

⁂ ჩვენ მივიღეთ გ. დავით ბეჟელისაგან შემდეგი დასაბეჭდად:

„თქვენს გაზეთში ამოვიკითხე დუშეთიდამ მოწერილი ამბავი, რომელიც მე შემეხება. რადგანაც საშაბუროში დვინობისთვის 31 ს მომხდარი უბედურება სანამდვილით არა აქვს საზოგადოებას გარდაცემული, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, შეცდომა შეასწოროთ. საშაბუროს მონაწილენი, ოცამდე თოფ-იარაღში ჩამჯდარი კაცი, საღამოზე, როდესაც ჩემი ღორი, ცხვარი და საქონელი, მინდვრიდამ მორეკილი, იყო ფარეხებში დასაბინავებლად, მუქარით და ლანძღვა-გინებით დაეცა ჩემს საქონელს, გაჰლიტა 40 ცალი ღორი და თოფით შაბურიშვილის კარებზედ გადარეკა; ამასთან მეღორეებს სცემეს და იარაღით მიიწიეს. იქ დაურიგნენ ხანჯლებით და რომლებსაც მოასწრეს გაჰლიტეს და დანარჩენი გაფთხვა და ტყეს ეცა. ეს ამბავი მე დუშეთში შემატყობინეს და გადვედი თუ არა, მაშინვე მამასახლისი დავიბარე, რომლებსაც გამოვუცხადე, რომ შაბურიშვილებმა და ფავლენიშვილებმა ღორი გამიჟლიტეს და თავზე დასხმასაც მემუქრებიან მეთქი. მამასახლისს არაფერი ზომიერება არ მიეღო, რადგანაც სამთვრალისა გამო ორღობეებში ჩასძინებოდა. ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჩემს კალოზედ საშინელი თოფის სროლა ასტყდა და ყიჟინა. ისმოდა მთვრალი ხალხის გინება და ხმაურობა: „მიდით, ბიჭებო, ნუ გეშინიანთ, ამოწყვიტეთ ბეჟელი?“ და სხვ. მაშინვე გავედი და დავუწყე ძახილი, თავი დაენებებინათ ამისთანა უგნური განზრახვისათვის. პატარა ხანს უკან შესწყდა ბრძოლის ხმა და გათენებისას იპოვეს იქვე ხევში მკვდარი ბარამ შაბურიშვილი. ვინ მოკლა, ამას გამოძიება აღმოაჩენს.

ეხლა იკითხავთ, თუ რათ ამიკლეს შაბურიანთ და ფავლენიშვილებმა? ამისა მოკლე პასუხი ეს გახლავთ: ამათში ორ კაცსა აქვს ჩემთან მტერობა; ამათ დაათვრეს დანარჩენები, გააბრიყვეს და იარაღით თავს დამცეს. ამ აკლებას ეხლა იმათ საბალასოის აღება დაარქვეს, მაგრამ მე თითონ საშაბუროის მონაწილე ვარ და ერთმანერთში თავისს დღეში საბალასე არ აგვიღია.

ვსთხოვ თბილისის გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

## პოლიციის მატიანე

—

### საქალაქო

9 ნოემბერს ხოჯივანქის ვიწრო ქუჩაში, ბანჯიძის სახლთან, იპოვეს ასე სამის თვის დაბადებული ბავშვი და გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

—

9 ნოემბერს პოლიციაში მივიდა ტფილისელი ვაჭარი არაქელ ბაღდასარას ძე სოლომონოვი და გამოაცხადა, წუხელ ჩემის არყის ქარხნის კანტორაში ვიღაცამ შუშა გასტეხადა 3 მანათის შავი ფული წაიღოვო.

—

10 ნოემბერს კოლეჟსკი სოვეტნიკმა ივანე ანტონის ძემ იაროშევიჩმა წერილით შეატყობინა პოლიციას, რომ დღეს, დილის 5 საათზე, სახლიდგან წავიდა ჩემი მოსამსახურე ქალი ტატიანა შჩერბაკოვისა და მას აქეთ აღარ მოსულაო. იმავე დღეს, ნაშუადღევს $1^1/_2$ ნახევარ საათზე, ტატიანა შჩერბაკოვისა ყელ გამოჭრილი იპოვნეს მთაწმინდის ძირში და გაჰგზავნეს მიხეილის სამკურნალოში. მის გვერდითვე უპოვნიათ კალმის დანაც. შჩერბაკოვისამ ამ ორის კვირის წინად კარბოლოს სიმჟავით თავი მოიწამლა და იმავე სამკურნალოში სიკვდილს გადაარჩინეს.

## გამოსადეგი ცნობა.

### წერილი მეორე.

პირველს წერილში მკითხველს მივაწოდე ცნობა, თუ რა ღონისძიებით შეიძლება აიცილოს თავითგან ჯიბლიბო. ეხლა მწადიან ამისთანავე გამოსადეგი ცნობა განგიზიაროთ ბორჯომის წყლის შესახებ.

ბორჯომის წყლის ხმარება ტფილისში და სხვა ადგილებში ძლიერ ვრცელდება ამ ბოლოს ხანში. ამის მიზეზი ჯერ ის გახლავთ, რომ წყალი ერთი ორად გააიაფეს. წინედ ტფილისში პატარა ბოთლი ისყიდებოდა სამ შაურად და ისიც მხოლოდ ერთს მიყრუებულს ადგილასა; ახლა-კი შიგ ალექსანდრეს ბაღში ბოთლს ყიდულობენ რვა კაპეიკად. მეორე მიზეზი ბორჯომის წყლის მოდაში შემოსვლისა არის ცნობილის დოქტორების მიერ მისი ქება.

ბორჯომის წყალი ზელცერის წყალივით სუსტი არ არის. იგი იმდენად მაგარი და ძლიერი წყალია, რომ შეუძლიან დიდად არგოს კაცსა, თუ იხმარებს, შესაფერს შემთხვევაში, ზომით, ვადით და წესით,—და დიდადაც ავნოს, თუ უთავბოლოდ და შეუსაბამოდ სვამს. მე ჩემს თავზედ გამოვცადე ამ წყლის გავლენა და მინდა გაგიზიაროთ იგი, რათა ასცდეთ იმ შეცდომას, რომელიც მე მომივიდა.

ერთის წლის წინედ მე დამჩემდა კუჭის ავადმყოფობა. ავადმყოფობა არ იყო უბრალო სისუსტე, მოუნელებლობა. ხშირი მუცლის ტკივილი გულის კოვზთან და უმადობა ნამდვილი ნიშანი იყო ეგრედ წოდებულის კუჭის კატარისა, რომელიც მძიმე და კერპ ავადმყოფობად ითვლება. ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ მე მირჩიეს ბორჯომის წყლის ხმარება, რომელმაც მართლა მარგო. ამ რგებით წატყუებული მე ამ წყალს ვსვამდი ყოველ-დღე. შარშან შემოდგომაზედ, ზამთარში, გაზაფხულზედ და ზაფხულში, ერთი სიტყვით მთელს წელიწადსა. ვსვამდი დღეში ნახევარს ბოთლსა, ან მეტსა, და მეგონა, რომ რამდენიც ხანგრძლივად ვიხმარ, იმდენი უკეთესი იქნება მეთქი. კუჭს, მართლა, დიდი შეღავათი მიეცა, მეტადრე პირველ ხანებში; მაგრამ საზოგადო მდგომარეობა სხეულისა-კი უკუღმა შეიცვალა. ვგრძნობდი ძარღვების სისუსტეს, სიმცივნეს, დაღვრემილობას, გულჩვილობას და ამასთან ხშირად სისხლი ამოსდევდა ბლომად ნერწყვსა, მეტადრე დილაობით. მაგრამ მე ამას ბორჯომის წყალს როდი ვაბრალებდი. სხვა რამე, ჯერედ გამოურკვეველი, მიმაჩნდა მიზეზად. ასე გაშინჯეთ, იმასაც კი ვფიქრობდი, ვაი თუ მეწია ის ჭირი, რომელიც, რუსთაველის არ იყოს, ყველა ჭირზედ უარესია, ესე იგი, სიბერე. ბოლოს უბრალო შემთხვევამ ამიხილა თვალები და დამანახვა აშკარად, რომ კუჭს კერძო მეგობარი ყოფილიყო მტერი საზოგადოდ სხეულისა.

ამ შემოდგომაზედ დავიწყე ჩვეულებრივ ყურძნის ხმარება ყოველ-დღე. რადგანაც ყურძენი და ბორჯომის წყალი ერთად ვერა თავსდებოდნენ, ამიტომ დროებით ხელი ავიღე ბორჯომის წყალზედ, ვიდრე ყურძნის სეზონი გათავდებოდა. და რა მოხდა? ჩემის სხეულის მდგომარეობამ დღითი-დღე იწყო გაუკეთესოება და ზემოდ მოხსენებული პატალოგიური მოვლენანი თანდათან მისუსტდნენ და ბოლოს გაქრნენ კიდეც.

რათა ბორჯომის წყლის გავლენა ადამიანის სხეულზედ ნამდვილად შემეტყო, მე მივმართე იმ ექიმების თხზულებებსა, რომელთაც ბოლოს წლებში გამოსცადეს თავიანთ სამკურნალოებში ეს წყალი და საზოგადოებას განუზიარეს თავისი ნაცადის შედეგი. ეს ექიმები არიან: განთქმული პროფესორი ზახარინი და პეტერბურგელი ექიმი დობროვოლსკი. მათი თხზულებების გადაკითხვამ დამანახვა, რომ ჩემი ეჭვი და გუმანი, იმის შესახებ, რომ ბორჯომის წყლის ხანგრძლივი ხმარება ადამიანს სისხლს უთხელებს და უსუსტებს სხეულსა, სწორედ საფუძვლიანი ყოფილიყო.

ამ ექიმების გამოცდილებიდგან სჩანს, რომ ბორჯომის წყალი, ეკატერინეს წყაროსი, ძლიერ მარგებელია ფილტვეჭის, კუჭის და ბუ-

შტის კატარის დროსა; აგრეთვე მშვენიერად მოქმედებს ნეკრესის ქარზედ (подагра). კერძოდ ამ წყლის მოქმედება კუჭის ავადმყოფობაზედ იმაში მდგომარეობს, რომ უსპობს ადამიანს გულის ძმარებასა, მუცლის გაბერვასა, უადვილებს საჭმლის მონელებას, უძლიერებს მადასა. საზოგადოდ-კი ყოველ კატარს იმის გამო არჩენს, რომ დასნეულებულს ორგანოს აცლის ლორძოსა, არჩენს მისს შინაგანს კანსა, ამაგრებს და აძლევს ჯეროვანს ღონესა თავისი ფუნქციის მნიშვნელობის ასრულებისათვის. მაგრამ თავისს კეთილს გავლენას მხოლოდ მაშინ იჩენს ბორჯომის წყალი ყოველ-გვარს კატარზედ, როცა იგი თავისს დროზედ, თავისს ვადაზედ და თავისს ზომაზედ იხმარება.

ხსენებული ექიმების რჩევით ბორჯომის წყალი უნდა იხმარებოდეს ამ სახით: დილით უზმოზედ უნდა დალიოთ ნახევარ ჩაის სტაქანი ანუ ერთი ღვინის სტაქანი. მას უკან უნდა გავიდეს უთუოდ ერთი საათი, ან მეტი, და მხოლოდ შემდეგ დანაყრდეთ, დალიოთ ჩაი, ან სჭამოთ საუზმე. სადილისა და ვახშმის წინედაც, ერთი საათით ადრე, უნდა აგრეთვე დალიოთ თითო ღვინის სტაქანი, ასე, რომ დღეში უნდა გაგითავდეთ სამი ღვინის სტაქანი. მეტის დალევა დღეში ხუთის-ექვსის სტაქნისა, შეუძლიანთ მხოლოდ სისხლს მორეულს და მსუქანს ადამიანებსა. ხოლო სუსტებსა და სისხლ ნაკლებ პირებს ნახევარ ბოთლზედ მეტის დალევა ასუსტებთ და ავნებთ. დალევა გადაკვრით არ ვარგა. უნდა ყლუპ ყლუპათ სვათ და ისიც არა გაზმით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურას წყლისასა. თვითონ ადგილობრივ ბორჯომის წყალი ნელ-თბილ შადრევანად ამოჩუხჩუხებს მიწიდგან და ეს ბუნებრივი ტემპერატურა ითვლება უფრო მარგებლად. ყოველს შემთხვევაში, ბორჯომის წყალი არ უნდა იყოს ცივი ოთახის ჰაერზედ, მეტადრე ზამთარში. ძალად გაცივებული, ან ცივს ჰაერში ნაქონი, სარგებლობის მაგიერ ვნებას აძლევს კაცსა, მეტადრე ყელისა და ფილტვების კატარით ავადმყოფსა და ფილარათიანს. ამის გამო დიდს წინდაუხედაობას სჩადიან ისინი, რომელნიც ამ შემოდგომაზედ ღია ბუდკაში ნადგამს წყალს ალექსანდრეს ბაღშივე სმენ ძლიერ ცივს ბორჯომის წყალსა და ისიც გადაკვრით (залпомъ). თვითონ ბორჯომის წყლის გამგებლობისაგან გასაკვირველია, რომ იგი ცივს ბუდკაში სტაქნებრივ ასმევს ბორჯომის წყალსა. იგი მოვალეა იქვე დიდს ქუჩაზედ საზამთროდ დაიქირავოს თბილი ოთახი და იქ ასვას წყალი მსურველთა. თორემ ცივი ბორჯომის წყალი, სარგებლობის მაგიერ, ვნებას მოუტანს მსმელებსა, მეტადრე ნაზი სხეულის პატრონებსა.

ხმარების ვადას კიდევ უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექციოს. ხსენებული ექიმების აზრით, ავადმყოფმა ბორჯომის წყალი უნდა იხმაროს გამუდმებით სამი კვირიდგან ექვს კვირამდე. თვე ნახევარი უდიდესი ვადაა (максимумъ). მერმე ან სრულიად უნდა აიღოს ხელი მის სმაზე, თუ მორჩა, და ან რამდენიმე კვირით შესწყვიტოს, და მხოლოდ შემდეგ განაახლოს მისი სმა. ხანგრძლივი და შეუწყვეტელი ხმარება ძლიერ მავნებელია, მეტადრე სუსტი აგებულების ადამიანებისათვის, რადგან სისხლს უთხელებს, სიმცივნესა ჰგვრის, სიგრილეზედ აგდებს, ძარღვებს უსუსტებს და შლის და ბოლოს თვითონ კუჭსაც უნაზებს, უსუსტებს.

ამ სახით, ვინც ავად არიან ან კუჭის, ან ყელის და ფილტვების კატარით, ან ნეკრესის ქარით, იმან უნდა ბორჯომის წყალი იხმაროს ნელ-თბილი, ყოველ-დღე სვას, ყლუპ-ყლუპად, სამი ღვინის სტაქანი. სმა გააგრძელოს არა უმეტეს თვე-ნახევრისა, და ყოველთვის დალიოს ხოლმე ცარიელს მუცელზედ, ერთი საათით ადრე სმა-ჭამისა. ვინც ასე მოიქცევა, დიდს შეღავათს და სარგებლობას იგრძნობს.

ძველი მთაწმინდელი.

## ცნობა სასამართლოდან.

—

12 ნოემბერს.

სასამართლო პალატაში დანიშნულია საქმე ფიდო ჯარაშვილისა და ასიკო საყურიაშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომელთაც ბრალდებათ გაძარცვა და გაუპატიურება სონა მჭედლიშვილისა.

16 ნოემბერს.

იმავე სასამართლოში პეტრე მგელაძის, ანტონ ჭაჭანიძის, პავლე და ივანე ნაფეტვარიძეების საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომელთაც ბრალდებათ 942 და 263 მუხ. წეს. დად. დანაშაულობა (ცრუ მოწმობაზე).

—

იმავე პალატაში—იულონ ლომიას საქმე—ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომელსაც ბრალდება 115 და 1 ნაწ. 1455 მუხ. წეს. დად. (მკვლელობაზე).


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**სალამური**

სახალხო სიმღერები,
გადაღებული ნოტებზე
ზ. ჩხაკვაძის მიერ

ფასი ხუთი შაური

(5—4)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

*(пятьдесятъ второй годъ изданія)*

**НА ГАЗЕТУ**

# „КАВКАЗЪ“.

Съ 1-го января 1897 года газета „КАВКАЗЪ“ будетъ издаваться подъ редакціей

**В. Л. ВЕЛИЧКО,**

по значительно-расширенной программѣ.

Газета поставитъ себѣ задачею посильное содѣйствіе духовному и экономическому развитію Кавказскаго края, культурное сближеніе его съ основными, созидательными началами русской жизни и служеніе отечественнымъ интересамъ на Востокѣ.

I. ВЪ ОФИЦІАЛЬНОЙ части газеты будутъ помѣщаться; 1) Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства; 2) Высочайшіе приказы; 3) приказы Главноначальствующаго гражданскою частью и командующаго войсками на Кавказѣ и вообще все то, что высшая администрація края найдетъ необходимымъ предложить напечатать.

II. ЧАСТЬ НЕОФИЦІАЛЬНАЯ, сообразно съ приведенной выше задачей газеты, будетъ распадаться на три группы статей, объединенныхъ общимъ направленіемъ.

*А. Вопросы мѣстные.*

1) Наблюденіе за мѣстною жизнью, изслѣдованіе явленій, отражающихся на ея укладѣ, и всестороннее обсужденіе порождаемыхъ ими вопросовъ будутъ обусловливаться возможно болѣе раціональною организаціей отдѣла корреспонденцій не только изъ главныхъ пунктовъ края, но и изъ глухихъ его уголковъ, типичныхъ въ какомъ-либо отношеніи. Въ частности будетъ отведено подобающее мѣсто городской хроникѣ Тифлиса, какъ центра кавказской жизни.

2) Передовыя статьи общаго и спеціальнаго характера, фельетоны серьезные и юмористическіе, въ прозѣ и стихахъ, тщательный обзоръ мѣстной русской и туземной публицистики послужатъ иллюстраціей къ матеріалу, приведенному въ 1-мъ пунктѣ. Особое вниманіе будетъ обращено на изслѣдованіе и выясненіе экономическихъ особенностей Кавказа: статьи по сельскому хозяйству, обрабатывающей промышленности, горному дѣлу и торговлѣ.

3) Постепенное развитіе статистики послужитъ для приведенныхъ отдѣловъ прочною основой.

4) Сознавая первостепенную научную и политическую важность кавказовѣденія, въ широкомъ смыслѣ этого слова, газета значительное мѣсто отведетъ статьямъ по естественной исторіи края, гражданской и военной исторіи его до и послѣ присоединенія къ Русской имперіи; изслѣдованіямъ, посвященнымъ этнографіи, фольклору, туземнымъ литературамъ въ ихъ прошломъ и настоящемъ, а также переводамъ лучшихъ туземныхъ произведеній.

Къ выполненію перечисленныхъ задачъ будутъ привлечены какъ мѣстные сотрудники, такъ и иные писатели и ученые, спеціально знакомые съ Кавказомъ.

*Б. Вопросы русской жизни и общекультурные.*

1) Связующимъ звеномъ между этою группой статей и предыдущею будетъ возможно-раннее и частое сообщеніе вѣстей изъ обѣихъ столицъ и другихъ крупныхъ пунктовъ Имперіи о тамошнемъ ходѣ административныхъ, общественныхъ, торговыхъ и судебныхъ дѣлъ, интересующихъ Кавказское общество. Столичныя вѣсти будутъ получаться отъ нѣсколькихъ спеціальныхъ корреспондентовъ, близкихъ къ различнымъ сферамъ.

2) Ежедневный обзоръ русской печатя будетъ восполненъ разнообразными корреспонденціями, посвященными преимущественно типичнымъ явленіямъ русской жизни. Художественнымъ-же ея истолкованіемъ явится:

3) Беллетристическій отдѣлъ (повѣсти, разсказы, стихотворенія), значительному расширенію котораго будутъ содѣйствовать извѣстныя литературныя силы обѣихъ столицъ.

4) Критико-библіографическія замѣтки и фельетоны объ интересныхъ русскихъ и иностранныхъ книгахъ и ежемѣсячное журнальное обозрѣніе.

5) Популярныя статьи по философіи, вопросамъ религіознымъ, нравственнымъ, художественнымъ, государственнымъ и отвлеченно-научнымъ, какъ оригинальныя такъ и переводныя.

6) Театръ и музыка.

*В. Вопросы внѣшней политики и заграничной жизни.*

Этимъ вопросамъ будутъ посвящены:

1) Политическія корреспонденціи и телеграммы изъ Средней Азіи, Турціи, Персіи, Индіи, Болгаріи, Лондона, Парижа и Венеціи. Этотъ отдѣлъ, требующій особой осмотрительности, будетъ расширяться постепенно, по мѣрѣ возможности, равно какъ и

2) Заграничныя свѣдѣнія торговаго характера, имѣющія цѣлью содѣйствовать оживленію кавказской промышленности и торговли.

3) Передовыя статьи по восточному вопросу и періодическіе обзоры внѣшней политики, наряду съ ежедневными выдержками изъ иностранной печати.

4) Изрѣдка помѣщаемые очерки заграничной жизни.

Кромѣ всего перечисленнаго, въ программу „Кавказа“ будутъ включены всѣ остальныя рубрики, принятыя въ большихъ литературно-политическихъ газетахъ.

Подписная цѣна остается безъ измѣненія, а именно:

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | | Съ пересылкою иногороднымъ. | | По почтовому союзу. | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . | 11 р. 50 к. | На годъ . . | 13 р.— | На годъ . . | 18 р. 40 к. |
| „ полгода . | 6 р. — | „ полгода . . | 6 р.— | „ полгода . | 10 р. — |
| „ 3 мѣс. . . | 3 р. 50 к. | „ 3 мѣс. . . | 4 р.— | „ 3 мѣс. . | 6 р. — |
| „ 1 мѣс. . | 1 р. 50 к. | „ 1 мѣс. . . | 1 р. 75 к. | „ 1 мѣс. . | 2 р. — |

Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ по соглашенію съ редакціей, причемъ иногородными вносится по 3 руб. при подпискѣ, 1-го марта и 1-го мая и по 2 руб.—1-го іюля и 1-го сентября; городскими—въ тѣ-же сроки: 3 р., 3 р., 2 р., 2 р. и 1 р. 50 коп.

NB. Подписка и объявленія на 1897 годъ принимаются по нижеслѣдующему НОВОМУ АДРЕСУ:

Г. Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Харазовой, „Бюро подписки на газету „Кавказъ“ на 1897 годъ“.

Бюро **ОТКРЫТО** ежедневно, кромѣ воскресныхъ и праздничныхъ дней, отъ **9 часовъ утра до 3-хъ часовъ дня.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიგ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია